საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსხლები

მსხლები, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტში (მსხლების ადმ. ერთეული). მდებარეობს ჯავის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. მხარეს. ცხინვალი–ჯავის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 1140 *მ*, ჯავიდან 2 *კმ*.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

სოფელში დგას XVI–XVII სს. ოთხკუთხა კოშკი, სოფლის განაპირას კი – XIX ს. II ნახ-ში აგებული „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი ეკლესია.